

სადღესასწაულო წეს-განგება

წმიდათა აღმსარებელთა მამათა ჩუენთა,

იოვანესი და გიორგი-იოანე ბეთანიელთა.

დიდ მწუხრსა ზედა

- „ნეტარ-არს კაცი“ | აღსავალსა.
- „უფალო დაღად-ვჰყავსა“ - ზედა დასდებელი, - (იგალობება მე -5 ჳმა-ზე).
- მუხლი 8. (ჳმა 5).

ღირსისა იოანესი და გიორგი-იოანესი

ღმერთშემოსილნო მამანო, ნეტარო იოანე და გიორგი-იოანე აღმსარებელნო, დიდნო არქიმანდრიტნო და ცათა მობაძავისა ბეთანიისა ბერ-მოძღუარნო, ქრისტეისთვის დამაშურალნო, ნიშთა და სასწაულთა განდიდებითა უნაყოფოისა და ნელ-ტფილისა სარწმუნოებისა განმაცხოველებელნო; ანგელოზთა თანამზრახუალნო და ნათელსა მას წარუალსა წმიდათა მოციქულთა და მოწამეთა თანაზიარნო და თანამკვიდრნო, რომელნი ჰნათობთ ბრწყინვალეებითა საღმრთოითა, რამეთუ წინაშე მისსა ჰსდგათ განბრწყინებულნი მადლითა კადნიერად და ყოვლადვე ხედავთ მისსა მას დიდებასა და მარადის იშუებთ მისითა სიკეთითა, ქრისტესა ევედრენით გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაი, მშვიდობაი და დიდი წყალობაი.

ღმერთშემოსილნო მამანო, ნეტარო იოანე და გიორგი-იოანე აღმსარებელნო, ოქროცურვილო ლამპარნო ღმრთისმოსაობისანო და ძალნო და სიმტკიცენო მონაზონთა კრებულისანო, მღდელობისა პატივითა შემკულნო და ღირსებით მსახურნო საღმრთოისა საკურთხეველისანო, ცეცხლმთებარენო სვეტნო ივერთა ეკლესიისანო; ზეციერნო წინამბრძოლნო და ჯუარისმტვირთველნო ერისა ჩუენისანო; მონაზონთა განმანათლებელნო და მოთმინებისა სუეტნო შუურყეველნო, სიმტკიცენო და ძელნო ეკლესიისანო, ლამპარნო ყოვლადბრწყინვალენო და მნათობნო ქართველთა ერისანო, სათნოებათა საუნჯენო, ქრისტესა ევედრენით გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაი, მშვიდობაი და დიდი წყალობაი.

ღმერთშემოსილნო მამანო, ნეტარო იოანე და გიორგი-იოანე აღმსარებელნო, მონაზონთა სიქადულნო და სიმტკიცენო მართლისა სარწმუნოებისანო, სამებისა

წმიდისა გამორჩეულნო მსახურნო, სულიერისა სამოთხისა ბეთანიასა დამწერგველნო და მუნითგან ჭემმარიტებისა მქადაგებელნო, ანგელოზთა მოდასენო, ქუეყანით ზეცად ამალღებულნო, სასუფეველსა დამკვიდრებულნო, ანგელოზებრივ გალობითა ზეცისა მოქალაქენო, წმიდათა თანა გვირგვინოსნებითა ნათელსა შინა ღმრთისა ხედვითა განჰბრწყინვებულნო და წმიდითა ლოცვითა თქუენითა მეოხნო ყოველთა პატივისმცემელთა თქუენთანო, ქრისტესა ევედრენით გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაი, მშვიდობაი და დიდი წყალობაი.

ღმერთშემოსილნო მამანო, ნეტარო იოანე და გიორგი-იოანე აღმსარებელნო, მამანო მამათანო, მონაზონთა თავნო და წინამძღუარნო განშორებულთანო, ცხორებითა თქუენითა ეკლესიისა უძლეველობისა გამომაჩინებელნო, მადლითა სწავლებისა თქუენისაითა ერისა სულიერისა ძილისა განმაფრთხობელნო და ივერიელთა სულიერისა სიმხნისა განმამტკიცებელნო, მართლმადიდებლობისა შჯულითა და საღმრთოითა მოძღურებითა მრავალთა განმსწავლელნო, რომელნი წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა იხარებთ მრავლითა ბრწყინვალეებითა განათლებულნი და შემწე ხართ მვედრებელთა თქუენთათვის, ქრისტესა ევედრენით გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაი, მშვიდობაი და დიდი წყალობაი.

სხუაი დასდებელი (ჯმა 2)

ეჰა გვირგვინნო

ვითარიმე ქებისა გვირგვინი შეუთხზნათ ქრისტეის ეკლესიისა სიმტკიცეთა და ყოველთა განმამტკიცებელთა სწავლითა, სამოციქულოსა ძალსა მიწდომილთა და ბეთანიითგან ჭემმარიტებისა მქადაგებელთა, შემწეთა და მოძღუართა ქრისტეანეთასა და შუამდგომელსა მათსა წინაშე ღმრთისა, ყოვლადქებულთა მამათა ჩუენთა იოანე და გიორგი არქიმანდრიტთა, რომელთა მიერ მრავალნი ვიდოდენ გზათა ჭემმარიტებისათა, და ადიდებდენ ქრისტესა, რომელსა აქუს დიდი წყალობაი.

2-გზის

ვითართა ქებისა საგალობელითა უგალობდეთ ნერგთა სამოთხისათა, ნაყოფისა კეთილისა გამომღებელთა, ანგელოზთა თანა მსახურთა, უფსკრულთა გულისხმისყოფისათა, გამოუთქმელთა მხილველთა, დიდთა შემწეთა და მოძღუართა, ყოველთა უკეთურთა და უდებთა მარცხუენელთა, და განკრძალულთა მათ სამღდელოთა და მონაზონთა განმამღიერებელთა, რომლისათვისცა ღვაწლნი მათნი ქრისტემან აკურთხნა, რომელსა აქუს დიდი წყალობაი.

ვითართა ქებისა გალობითა უგალობდეთ ეკლესიათა შემამკობელთა და მწყემსთა და მოძღუართა მონაზონთასა, რომელნი ჟამთა მათ უღმრთოთა ზეობისასა

გამოუჩნდენ ივერთა ერსა და განსწავლიდენ ღმრთისა და მამულისა სიყუარულითა და განაკრძალებდენ ლოცვასა, რომლისათვისცა მათდა მიმართ დაგვიძს სასოებაი ჩუენი, რაითა ერთობითა სარწმუნოებისაითა და სიყუარულითა აღვიარებდეთ, ვითარცა წინამძღვართა და სიმტკიცეთა ყოველთა მართლმადიდებელთასა, რომელსა აქუს დიდი წყალობაი.

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

აწ განსცხრებოდეთ მონაზონებისა მოყუარენო, და იშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ღმრთისმშობლის შობისასა; შემოკრბით ჰოი, მორწმუნენო და შესხმითა სულიერთა შევამკობდეთ და ვაქებდეთ სანატრელთა მამათა ჩუენტა და მოძღუართა სახელოვანთა იოანესა და გიორგი ბეთანიელთა, რომელთა ხსენებასა ვღესასწაულობთ ამასვე დღესა, და ქებითა გალობისაითა ვუგალობდეთ და შევასხმიდეთ მღდელთა სიქადულთა და ქართველთა დიდებათა, წყაროთა საკვირველებათასა და მორწმუნეთა დიდთა მეოხთა და შუამდგომელთა: გიხაროდენ, სასანთლენო ყოვლადბრწყინვალენო, რომელთა კიდენი საქართველოისანი საკვირველებითა განანათლეთ; გიხაროდენ, ჭირვეულთა საღმრთონო სიხარულნო და განსაცდელთა შინა მყოფთა მხურვალენო შუამდგომელნო, ღირსნო და საკვირველთმოქმედნო მამანო იოანე და გიორგი-იოანე ბეთანიელნო, დაუცხრომელად ევედრენით ჩუენტვის ქრისტესა ღმერთსა, რომელნი სარწმუნოებითა და სიყუარულითა პატივს-ვსცემთ მარადის სახარულეევანსა და ყოვლადსანატრელსა ხსენებასა თქუენსა. (ჳმა 6).

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჟამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძეი მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოისა გამოვიდა გამოუთქმელად ხორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენტვის კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენტასა.

(ჳმა 6).

შესვლად - წარდგომა დღისა

- საწინაწარმეტყველონი - საკითხავი ღირსისა - 3.

1. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალთა სულნი ხელთა შინა ღმრთისათა...)

2. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალნი საუკუნოდ ცხოვნდეს. და უფლისა მიერ...)

წერილ-არს, მარტის 9-ს.

3. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი (მართალი თუ აღესრულოს განსუენებასა შინა...)

წერილ-არს მაისის 7-ს.

- „ლიტსა“ ზედა დასდებელი ტაძრის - 1 მუხლი.

ესრეთ ღირსთა მამათა. თვით-ხმოვანი. (ჳმა 2).

სულიერსა ამას კრებასა ყოვლად საგალობელსა, სულისა მიერ წმიდისა მოწოდებულნი, წადიერებითა შემოკრებულნი ერნი, ვგალობდეთ და ვიხარებდეთ ღირსად, სახსენებელსა ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა ბეთანიასა შინა მოღუაწეთა იოანე და გიორგი-იოანე არქიმანდრიტთა - ჟამსა მას უღმრთოთა ზეობისასა მრავალთა ღმრთისა მიმართ მომაქცეველთა და მოსავთა მათთა შემწეთა და მეოხთთა.

ქუეყანასა ზედა ანგელოზნო და ცათა შინა კაცნო ღმრთისანო, სოფლისა კეთილად განმაშუენებელნო და სიტკბოებითა სახიერნო, ღირსნო მამანო ჩუენნო იოანე და გიორგი-იოანე აღმსარებელნო, სულიერისა სამოთხისა ბეთანიასა დამწერგველნო და მუნითგან ჭეშმარიტებისა მქადაგებელნო, გაქებთ თქუენ, რომელნი იყვენით, ვითარცა ორნი სულნი ერთსა შინა გუამსა, და ლოცვითა და ვედრებითა შეუვრდებოდით იესუს და ითხოვდით მისგან ერისა თქუენისათვის ხსნასა და წყალობასა.

დაუტევეთ, წმიდანო, სოფელი და აღიღეთ ჯუარი, რომლისა მიერ მოქადულ-იყვენით თქუენ, სამ-გზის სანატრელნო მამანო, და წინამძღურებითა სულისა წმიდისაითა წარმართეთ სლვანი თქუენი ღმრთისა მიმართ და სიმდაბლითა თვისითა მიიწინეთ რაი საზომსა დიდსა, განასხამდით სულთა უკეთურთა და განჰკურნებდით სნეულთა, ხოლო აღმაღლდით რაი წინაშე ღმრთისა, ვითარცა ორნი სუეტნი ცეცხლმთებარენი, ლოცვითა და ვედრებითა შეუვრდებით იესუს და ითხოვთ მისგან ერისა ჩუენისათვის ხსნასა და წყალობასა, ხოლო სულთა ჩუენთათვის ცოდვათა მოტევებასა და ცხოვნებასა.

ვითარცა მწყემსთა დიდთა და ქადაგთა სარწმუნოებისათა, ღმრთივმშუენიერად ჰქადაგეთ სახარებაი სასუფეველისაი და ივერთა წმიდაი ეკლესიაი განამდიდრეთ ღუაწლითა საღმრთოითა, რომლითა აწ განათლებულნი გადიდებთ კაცთა ზეცისათა და ქუეყანისა ანგელოზთა, სოფლისა სამკაულთა და მოღუაწეთა თუალთა, რომელთა განამრავლეთ სამწყსოი ქრისტეისი და სიმართლითა და

სიწმიდით წინამძღუარ ექმენით მოღუაწეთა, და მეოხ-ხარ ღმრთისა მიმართ სულთა ჩუენთათვის.

იქმენით რაი ჭემმარიტნი მსახურნი სამეზისანი, უხუად მიიღეთ მისგან ნიჭნი გულისხმის-ყოფისანი და განიბრძუნეთ რაი ცნობად ძალსა წმიდათა წერილთათა, მიიწიენით ბეთანიისა მონასტერსა - საცხოვრებელად სულთა და საყუდებელად მრავალთა, და ჟამსა მას სიყმილისასა მუშაკთა ნაყოფიერ-ჰყოფდით და გამოზრდიდით მშიერთა. ხოლო აწ საკვირველებათა მათ აღმობრწყინვებითა ელვარობდ წმიდისა მის სავანითგან ქუეყანასა ზედა ჩუენსა და სულიერთა სულნელებათა მიჰფენთ სულთა და გონებათა ჩუენთა.

სახსენებელი თქუენი უკუნისამდე ჰგიეს, მწყემსო კეთილნო, და დაღაცათუ მიიცუალეთ ჩუენგან, არა განგუემორენით ჩუენ, არამედ კეთილითა სიყუარულითა შეერთებულნი ერთურთსა და ღმერთსა, და თანა მოქალაქენი ანგელოზთა ცათა შინა, ჰკურნებთ უძღურებისა ჩუენისა ვნებასა და მოსავთა თქუენთა უხუად მოგვანიჭებთ მადლსა და წყალობასა.

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ზეცისა კაცნო და ქუეყანისა ანგელოზნო, მადლითა და წყალობითა ღმრთისაითა მიიწიენით რაი ბეთანიას ნავთსაყუდელად სულთა და განსანათლებლად ნათესავისა ჩუენისა, აწცა იმეოხეთ წინაშე ღმრთისა, რაითა არა განგვირისხდეს ჩუენ უსჯულოებათა ჩუენთაებრ, არამედ აღგვაორძინოს და განგვამრავლოს და აღგვაგოს სულითა სიბრძნისაითა, ურთიერთასისა სიყუარულითა და საღმრთოისა გულისხმისყოფისაითა, რაითა ყოველთა საფრხეთა განვერნეთ და ვსძლოთ ბოროტთა მანქანებათა უხილავისა და ხილულისა მტერისათა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გიხაროდენ, ქალწულო, ღრუბელო და ეტლო სიტყვისაო, გიხაროდენ, უხესთაეს გონებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმრთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელო სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თვინიერ თესლისა მშობელო, და თვინიერ ხრწნილებისა მაწოვნებელო, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეულო.

- „სტიქარონსა“ - ზედა დასდებელი. (ჴმა 8).

გაქუნდათ ცხორებაი მაღალი სიყრმითგან და წამებითა წმიდათა წერილთათა მტკიცე ქმნილნი, მამანო, სარწმუნოებაი ჭემმარიტი და გული მწყალობელი, სიმდაბლე და კრძალულებაი, თვალთა ყოვლითურთ გონიერად მხედველი, მონაზონთა კანონნო და სიქადულნო, სამ-გზის სანატრელო, მამანო იოანე და გიორგი აღმსარებელნო!

მუხლი. პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

ვითარცა ვარსკულავი გამოზრწყინდით ბეთანიისა წმიდასა სავანესა, ძალითა ჯუარისაითა განძლიერდებოდით და ყოვლადვე არცხუნდით საცთურსა მას ღმრთისმგმობთასა და საფუძველ ექმენით მონანულთა.

მუხლი. ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად.

მხიარულ არს ქართველთა ეკლესიაი აღმოხუმასა ნაწილთა თქუენთასა, რომელი იგი დაჰმარხნა, ვითარცა თუალნი მრავალსასყიდლისანი, და დაუწყვედელად მოგუმადლებს მეოხებითა თქუენითა სულთა და ხორცთა კურნებასა,

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

სიმრაველი მონაზონთაი წინამძღურად აღგიარებთ, ღმერთშემოსილნო მამანო ჩუენნო, იოანე და გიორგი ბეთანიელნო, რამეთუ აღივსებიან საღმრთოითა მით მადლთა, რომელ დაუტევე, და იშუებენ სახსენებელსა თქუენსა, თანამოსაგრენო, ევედრეთ ქრისტესა ღმერთსა, რაითა შეიწყალნეს მან სულნი ჩუენნი ოხითა თქუენითა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად-იღე გამოუთქმელად, დედაო ღმრთისა მადლისაო, ვედრებაი მონათა შენთაი შეიწირე, ყოვლადუბიწოო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებაი შეიწირე და გვითხოვე ჩუენ დიდი წყალობაი.

- **„აწ განუტევე“**

მამაო ჩვენო: ტროპარი ბეთანიისა მამანო საკვირველნო, ანგელოზად სახელდებულნო ყოველთა მიერ მცნობელთა თქუენთა: იოანე, სიყრმითვე მუშაკო განშუენებად ღმრთისა სავანისა; გიორგი წინაისწარმეტყველებისა ნიჭითა აღმკულო; წყუდიადასა შინა უსჯულოებათასა გზნებულნო ლამპრად მართლმადიდებლობისა, ევედრენით ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის. – **2 გზის.(ჰმა 6).**

- **ღვთისმშობელო ქალწულო - 1 გზის.**

- **პურის კურთხევა.**

დიდი ცისკარი.

- „ღმერთი უფალსა“ - ზედა ტროპარი ღირსისა. – 2 გზის.

„დიდება“ „აწდა“ - ღვთისმშობლის აღდგომის განსატევებელი ტროპარის ხმის მიხედვით - „რომელმან კურთხეულ უწოდე დედასა შენსა, მოხვედ ნებსით გნზრახვით ძიებად ადამისსა, გამობრწყინდი ჯვარსა ზედა, ეტყოდი ანგელოსთა იხარებდიტ თქვენ ჩემ - თანა, რამეთუ იპოვა წარწყმედილი დრაქმა, რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, ქრისტე ღმერთო დიდებაჲ შენდა“. (ჰმა 6).

- **შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა. (ჰმა 1).**

ცხორებაი კეთილმსახურებით ქუეყანასა ზედა აღასრულეთ, და გამოსჩნდით კანონად მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, წმიდანო აღმსარებელნო მამანო იოანე და გიორგი, და განანათლებთ თქუენდამი მსწრაფლ მოლტოლვილთა, ნეტარნო, აწცა გამოაბრწყინვეთ გულთა ჩუენთა ნათელი ჭემმარიტი და მეოხ-გუეყვენით მაქებელთა თქუენთა. **2-გზის**

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

წინაისწარმეტყველებისაებრ გაბრიელ სალოსისა აღმოაბრძანეს რაი სამარხოით საუნჯეი ეგე პატიოსანი _ წმიდანი ნაწილნი თქუენნი, სიმდიდრეი უსასყიდლოი დაუღვენელი და ოქროი ღმრთივბრწყინვალეი, სიხარულითა საღმრთოითა აღივსო ქუეყანაი ჩუენი და წმიდაი მართლმადიდებელი ერი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

განეცხადების საიდუმლოი საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზს, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს კურთხეულსა დედათა შორის, რომლისა-თანა ვხმობდეთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

- **შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა. (ჰმა 4).**

ვითარცა ვარსკულავნი გამობრწყინდით ბეთანიისა სანახებსა, ღირსნო მამანო ჩუენნო, სანატრელნო, და განამრავლეთ სამწყსოი ქრისტეისი ჟამსა მას უღმრთოთა ზეობისასა, აწცა ხსენებისა თქუენისა აღმასრულებელთა ხსნაი გვითხოვე შეცოდებათა, ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარემან.

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა

იხილა რაი მხედველმან გონებათამან ღმერთმან წინაისწარვე სიწმიდეი სულისა თქუენისაი, ნათელ-გარდაფენილ-ყო გონებაი თქუენი და აღგავსოთ სიბრძნითა მით საღმრთოითა და მეტყველებაი დაფარულთა საიდუმლოთაი მოგანიჭათ. აწცა

მეოხ-გვეყვენიტ წინაშე ღმრთისა, რაითა მოგვეცეს გული გონიერი და ბრძენი, გულსხმისყოფად კეთილისა და ბოროტისა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დამბადებელი, ყოვლადუბიწო, წმიდაო, საღმრთოისა სულისა მიერ მუცლად იღე და უბრწუნელად ჰშევ, რომლისათვისცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.

- **მე -19 კანონი - გამოკრებილი ფსალმუნები.**
- **შემდგომად სადიდებელისა წარდგომა. (კმა 8).**

მოვედით, მორწმუნენო, მოღუაწესა ქრისტეისსა იოანეს ერთობით შევამკობდეთ, ღმრთივგანბრძნობილსა მოძღუარსა, მადლითა განშუენებულსა, სარწმუნოებისა წინამბრძოლსა უძლეველსა, ზღუდესა დაურღვეველსა, ებანსა სულიერსა და სინანულისა სიბრძნით მწერალსა, მთიებსა მას საღმრთოითა ნათლითა შემკობილსა, და მნათობსა ყოველთა ცის კიდეთასა, მორწმუნეთა სამკაულსა და სიმტკიცესა შჯულისასა. ამას უგალობდეთ, რაითა მეოხ გუეყოს სულთა ჩუენთათვის.

დიდებაი მამასა და ძისა და წმიდასა სულსა,

მოვედით, მორწმუნენო, მოღუაწესა ქრისტეისსა იოანეს ერთობით შევამკობდეთ, ღმრთივგანბრძნობილსა იოანეს, უფსკრულსა მას მადლისასა, მდინარესა სიბრძნისასა, წყაროსა წყლისა ცხოველისასა, საუნჯესა საღმრთოისა სიმდიდრისასა, თავსა და დასაბამსა ღმრთისმეტყუელებისასა, საცნაურსა მას სანთელსა. ყოვლად მოუკლებელად მნათობსა ქრისტეს ეკლესიათასა, შჯულისა საზღვარსა და სარწმუნოსა მწყმსსა და მოძღუარსა. ამას უგალობდეთღმერთშემოსილო მამაო. მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათვის.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თანა დაუსაბამოი სიტყუაი მამისაი, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩუენისასა, ღმრთისმშობელო, და უჟამო შემოვალს ჟამსა შინა და სიტყუაი განზრქებოდის, ხოლო ძეი ღმრთისაი ძედ შენდა იწოდების. ეჰა, მიუწვთომელი ესე საიდუმლოი, იესუ ქრისტე გუმინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.

- **აღსავალი, ანტიფონი 1. კმა 4**

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძვანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთჳს გვედრები: შემწე-მეყავ და მიჰსენ სახიერ.

დიდებაი...

რომელთა გპულთ სიონი, სირცხვლელ-იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა განკმული თივად შეგჭამნესთ გეენიამან.

აწდა...

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცხოველ-იქმნების და სიწმიდით ამალდეების და განჰბრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

წარდგომად - „პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“. (ჯმა 7).

მუხლი - „რაი მივაგო უფალსა ყოვლისავეთვის, რომელი ესე მომაგო მე“.

ყოველი სული... სახარება ლუკასი, თავი 6. მუხლი 17. (მას ჟამსა შინა, დასდგა იესუ...) დასასრული მუხლი 23. (მრავალ არს ცათა შინა...)

- **შემდგომად 50-ე ფსალმუნისა დასდებელი.**

თვით-ხმოვანი. (ჯმა 6).

ჟამსა მას უღმრთოთა ზეობისასას ქუეყანასა ჩუენსა უფლობდენ რაი ქრისტესმოძულენი, განხდა ხმაი მოღვაწებისა თქუენისაი, ღმრთივგანბრძნობილნო, და მრავალნი მოისწრაფდნენ ხილვად და სმენად სიწმიდისა თქუენისა, ამისთვისცა ზეცათა შინა ჰპოვეთ სასყიდელი შრომათაი, და მიიწიეთ ანგელოზთა წესსა, რომელთა უბიწოთა ცხორებითა სწორ-იქმენ, ღირსნო მამანო იოანე გიორგის თანა, კადნიერებაი გაქუთ წინაშე ღმრთისა, მშვიდობაი ითხოვეთ სულთა ჩუენთათვის.

საცისკრო კანონთა გალობა

I - კანონი ღმრთისმშობლისა. მუხლი 6 (სექტემბრის 28-ს იძიე).

II - კანონი ღირსისა, მუხლი 8. (ჯმა 1).

გალობაი 1, უგალობდითსა

ძლისპირი: გიგალობთ შენ უფალო ღმერთო ჩუენო, რომელი წარუძეღუ ერსა შენსა ზღუასა მას შინა და დაანთქ სიღრმესა ეტლები ფარაოისი და ძალი მისი.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

სიყრმითგან ტრფიალ იქმენ უფლისა, და გულისხმაი-ყავ რაი წმიდაი საღმრთოი ნებაი მისი, ნეტარო იოანე, იწყე სრბად იწროსა გზასა მას ზედა მონაზონებისასა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

აზნაურსა მას დიდებულსა, ძირძველთა მათ წარჩინებულთაგან, გაქუნდა სიყუარული ერისა და მამულისაი, და მხედრულისა საქმისა წილ აღირჩიე მსახურებაი უფლისაი, ყოვლად ნეტარო გიორგი.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

ვლტოდე რაი ამბოხთა სოფლისათა, ქრისტეს ტრფიალებითა მოწყულმან ათორმეტისა წლისამან შეიმოსე ჯუარი მისი, წმიდაო იოვანე, და შეუდეგ რაი კუალთა მისთა, წარხვედ ბეთანიად.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

ზეგარდამოითა ჩუენებითა დაუტევნე რაი სახლი მშობელთა შენთაი, დამკვიდრდი ადგილსა მას მიუვალსა რომელი იგი არავინ იცის თვინიერ ღმრთისა, და დაუცადებელითა ლოცვითა განხდიდი ემმაკისა საცთურთა და დაშრეტდი მძვინვარეთა საფრხეთა მისთა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

იხარებს აწ ქართველთა ეკლესიაი ხსენებასა თქუენსა და გვიწესს ყოველთა მორწმუნეთა, რაითა განატრიდეთ თქუენ, მოშურნეთა მხურვალეთა და ცოდვილთა სულთა მძღუანთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დედოფალო დაბადებულთაო, დამბადებელსა ყოველთასა ევედრე, რაითა დიდებასა მამათასა ზიარ-გვყოს, ქებით მადიდებელნი და სურვილით მგალობელნი შენნი.

გალობა 3, განძლიერდასა

ძლისპირი: შენ, ქრისტე ღმერთო ჩუენო, განმძლიერებელო მოსავთა შენთაო, კლდესა ზედა სარწმუნოებისასა დამამტკიცენ ჩუენ, მოსავნი შენნი.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

იყავ რაი მორჩილებასა შინა ბეთანიისა წინამძღუარისა, დაუცხრომელად მუშაკობდი, იოანე, აღდგინებად დარღვეულისა სავანისა და ფიცხელსა მას შრომასა იტვირთავდი სიმდაბლითა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

ჭაბუკმან, ვითარცა მხცოვანმან და ბრძენმან, სიფიცხეი იგი მეუდაბნოისა აღირჩიენ უფროის სოფლიურისა პატივისა და დაემკვიდრე რაი ხირსისა მონასტერსა, ღირსად სანატრელო გიორგი, შებმა უყავ ღუაწლსა ძნელსა და ფიცხელსა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

ათონისა მთასა მიწვენული დაემკვიდრე იოანე ღმრთისმეტყველის ქართველთა სავანესა და ზეთითა ღუაწლთა და შრომათაითა, ნეტარო იოანე, განაპოხე სანთელი ქალწულებისაი.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

მღდელმოწამისა მიერ ნაზარი მიტროპოლიტისა აღიკვეცე რაი ანგელოზებრივსა სქემასა, გაქუნდა ქრისტე თანა-შემწედ ბრძოლად მტერისა მიმართ, ამისთვისცა ევედრე მას, ყოვლად ნეტარო გიორგი, რაითა გვიხსნეს ჩუენ აურაცხელთა ცოდვათაგან.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

შუამდგომელად ღმრთისა მიმართ მიგავლენთ თქუენ, მრჩობლთა მოღუაწეთა – მხნესა იოანეს გიორგისთანა, რაითა წარგვხადოს განსაცდელნი და ეშმაკთა კვეთებანი მოსავთა თქუენთა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ეთერისა უბრწყინვალესო ქალწულო მარიამ, რომელმან არსთა მფლობელი ღმერთი ქალწულებით ჰშევ გამოუთქმელად, მას ევედრე შეწყალებად სულთა ჩუენთა.

წარდგომა, ჳმა 8

მოღუაწებითა ვნებანი ხორცთანი სულსა დაუმორჩილეთ, და უვნებელობისა ფრთითა ფრთოვან-ქმნილთა, შეიწყნარეთ მადლი სულისა წმიდისაი, და სენსა კაცთასა ჰკურნებთ, და ეშმაკთა განჰხდით, და იხსნით მვედრებელთა თქუენთა. ამისთვისცა კრებული მონაზონთაი გნატრის თქუენ, წმიდანო მამანო ჩუენნო, ბეთანიასა მოღვაწენო გიორგი და იოანე ათონელო, და პატივს-სცემს ხსენებასა თქუენსა. – 2 გზის.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სიმხნეი მოთმინებისაი და სიწმიდითა შრომაი, უფლისა სათნოი, და სასწაულთა თქუენთა სიმრავლენი ქუეყანასა ამას ჩუენსა მრავალგზის აღიწერა, რაითამცა

მიეთხოვბოდეს თესლით თესლამდე ძეთა ნათესავისა ჩუენისათა, ხოლო ხსენებისა თქუენისა დღესასწაულსა განმხიარულებულნი გალობითა ვაქებთ და ვადიდებთ ქრისტეს, მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

გალობაი 4, უფალო მესმასა

ძლისპირი: სიყუარული წყალობისაი, ძეთა კაცთათვის ჯუარსა ზედა აღმადლი და დაბრმეს ჰურიანი, ვითარმედ შენ ხარ, ქრისტე, სიბრძნეი ღმრთისაი და მადლი.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

აღკვეცეს რაი მცირესა მას სქემასა, ღირსო, გიწოდეს სახელი მაცხოვრის საყუარელისა მოწაფისა, და სურნელებაი ლოცვათა შენთაი, ვითარცა საკუმეველი, მარადის აღიწეოდა ღმრთისა მიმართ.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

ისარნი ბოროტისანი განხურვებულნი დაშრიტენ მარხვითა და მღვიძარებითა, სამგზის სანატრელო გიორგი, და იქმენ რაი ხელდასხმულ მღდელ-მონაზონად, შეიმოსე სამღდელოი სამოსელი სიმართლისაი და მადლისაი, და აღიწიე არქიმანდრიტისა ხარისხსა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

ხელი დაგასხეს რაი ხუცეს-მონაზვნად, ადასრულებდი ღმრთისმსახურებასა და ჟამსა ლოცვისასა შემოიკრებდი გონებასა თვისსა წინაშე ღმრთისა, აწ გვითხოვე მისგან შენდობაი, ღირსო იოანე, ცოდვათა და უსჯულოებათა ჩუენთაი.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ ღმერთსა ჩუენთვის.

ჟამსა მას უღმრთოთა მძლავრებისასა მრავალნი იძულებით განიძარცუვიდეს სქემასა მონაზონებისასა, ხოლო შენ, სანატრელო გიორგი, აღირჩიე სრბაი იწროსა მას გზასა, და შეუძრველად ჰვიებდი მართალსა ზედა აღსარებასა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ანგელოზთა ცხორებისა მობამავ-იქმენით, ყოვლად ნეტრეულნო, და აწ მარადის ანგელოზთა თანა მდგომარენი ხარო წინაშე ღმრთისა, მეოხ-გუეყვნით ჩუენ მისა მიმართ, რაითა გვიხსნნეს ხელოვნებათაგან მტერისაითა და დელვათაგან ცოდვისაითა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ლმობიერად გევედრებით, ქალწულო წმიდაო მარიამ, ლოცვითა ღმერთშემოსილთა მამათა ბეთანიელთაითა ლხინებაი მომადლე სულთა ჩუენთა, რაითა გადიდებდეთ, დედოფალო.

გალობა 5, ღამითგანსა

ძლისპირი: ნათელი შენი, უფალო, მომფინე ჩუენ ზედა და მიხსენ ბნელისაგან ჩუენ ცოდვილნი და მოწყალეზაი შენი, სახიერ, ზეცით გარდამოგვივლინე.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

მიტაცებულ აქუნდათ რაი ივირონი ბერძენთა, შურიტა ქართველთაითა აღძრულნი არა დასცხრებოდენ ბოროტებად თქუენდა და შემდგომად მრავლისა შეურაცხებისა განგდევენეს ათონითგან.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

დიდი ჭირი და იწროებაი მოაწიეს რაი ეკლესიათა და მორწმუნეთა ქუეყანასა ჩუენსა, მზრძოლთა მათ ღმრთისათა განგძარცვეს სამოსელი სამღდელოი, ბერო გიორგი, და გგვემეს და შეგკვეცეს წვერი აღმსარებელსა ქრისტიესსა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

ვერცაღა დააცხრეთ რაი ჭირთა მძვინვარებანი, ბერძენთა მიერ აღძრულნი ივერიელთა ზედა, მოსაგრეთა თანა უკუნ იქეც სამშობლოს ქუეყანასა, ათშვიდმეტსა წელსა დამყოფელი ათონსა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

მრავალგზის შეგემთხვევოდა სახლეულთაგან შეურაცხებაი ღირსო გიორგი, ვიდრე ჟამადმდე წარხვედ რაი სახლსა თვისსა, სადა მკვიდრ იყუნეს ძმანი შენნი ურწმუნონი და აღგკვეცეს რაი წვერი მძინარესა, თავსა თვისსა დაითხიეს რისხვაი ღმრთისაი.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ანგელოზნი განკვირდეს თქუენითა უბიწოებითა, ხოლო კაცნი ბაძუად თქუენდა აღადგინენით, რამეთუ ყოვლითურთ საკვირვოი აჩუენეთ საქმენი, ღირსნო მამანო ჩუენნო, სანატრელნო.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ოსანას გალობასა გილაღადებთ, უფალო საბაოთ, ოხითა ქალწულისა მარიამისათა შეგვაერთენ უხორცოთა ძალთა მგალობელნი შენნი, უფალო.

გალობა 6, დადადყავსა

ძლისპირი: ღმრთისმეტყველნი შემოჰკრიბნა წამსა შინა ღრუბლითა ცისკიდიით სიონს შინა, მსახურებად გუამსა მას ღმრთისშემწყნარებელსა ამას დღესა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

ქრისტეს ტრფიალებითა მოწყლული დაემკვიდრე რაი არმაზისა მონასტერსა, კადნიერად უფლობდენ უღმრთონი ღმრთივკურთხეულსა ქუეყანსა ჩუენსა და ბრძოდენ და დევნიდენ ქრისტეანეთა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

სახლი მშობელთა შენთაი, ვითარცა უცხოსა გაქუნდა, გიორგი, და სულგრძელებითა დაითმენდი საღმრთოისა სიყუარულისა განძარცვასა, აწ მოწყალე-ჰყავ შემოქმედი ხსნად ჩვენდა ბოროტთაგან.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

მხეცებრ განძვინებულთა მათ უღმერთოთა დაგჰრეს რაი ტყვიითა, ქრისტემან განგკურნა და წარხვედ რაი მარტყოფის მონასტერსა, ნებაი არა გცეს მუნ ღუაწლისაი, არამედ შეგიწყნარა ამბროსი კათალიკოსმან, თვითცა პყრობილმან სახლსა შინა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

გაქუნდა რაი მოწყალეობაი და სიმშვიდეი, ვითარცა დავითს წინაწარმეტყუელსა, ქრისტეის მხედარო გიორგი, მრავალგზის აღეგზნა ბოროტი იგი ეშმაი წყობად შენდა, გარნა ძალსა მისსა დასწვავდი ცეცხლებრ სახუმილითა ლოცვათა შენთაითა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ვერცალა ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ შიშმან სიკუდილისამან შეუძლეს განშორებად თქუენდა სიყუარულისაგან ჭემმარიტისა ღმრთისა, მას ევედრენით აწ ხსნად ჩუენდა ყოვლისაგან სენისა და განსაცდელისაგან ბოროტისა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სასოო ყოველთა ქრისტიანეთაო, საგალობელო ყოველთა ზეცისათაო, გუნდსა თანა წმიდათასა მეოხ გუეყავ, დედოფალო, რაითა სამარადისოდ გადიდებდეთ.

- **კონდაკი, (ჰმა 4).** დევნულებათა შინა აღმასრულებელად საიდუმლოთა სჯულისათა გამოსჩნდით სასოდ მორწმუნეთა, მრავალგვემულნო და

დამცრობილნო მოძულეთა მიერ ქრისტეისთა, ჭურნო სახიერებისა და სიბრძნისანო, მკურნალნო სენთა მრავალფერთანო, წმინდანო აღმსარებელნო მამანო იოანე და გიორგი, სულიერსა მწუერვალსა ზედა აღსრულნო და განბრწყინვებულნო, მნათობნო მართლმადიდებლობისანო.

- **იკოსი** - მრჩობლთა წმიდათა მწყობრთა, საღმრთოთა, გალობითა პატივს-გცემთ, რამეთუ ძმებრივითა გონებითა ერთად შეკრებულთა საუფლოისა ერისა ძილი სულიერი განაფრთხვეთ და გზასა მას სამეუფოსა წარმართეთ, აწ ჩუენთვისცა ოხად ნუ დასცხრებით, სახელ-დიდნო მამანო საკვირველნო, და ყოველნი საღმრთოითა მღვიძარებითა აღგვავეთ, რაითა გიფალობდეთ: გიხაროდენ, ღირსნო მამანო ჩუენნო ბეთანიასა მოღუაწენო, იოანე და გიორგი აღმსარებელნო!

გალობა 7, კურთხეულარსა

ძლისპირი: სახუმილსა შინა აბრაჰამიანი ყრმანი მოგუთა მიერ კრულნი საღმრთოთა ჰსჯულთათვის შეითხივნეს და აღსა მას შინა ღაღადებდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ტაძარსა ამას სიწმიდისა შენისათა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

მანქანათა უღმრთოებისათა ვერ შეუძლეს შერყევად სარწმუნოებისა შენისა სიმტკიცისა, და წარხვედ ბეთანიად, წმიდაო იოანე, სადა იგი კუალად იღწვიდა ხუცეს-მონაზონი სპირიდონი, მოძღუარი სიყრმისა შენისაი.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

ურიცხუნი განსაცდელნი თავს ისხენ, ღირსო გიორგი, და ვითარცა ოქროი, გამოიხურვე ბრძმედსა მას შინა საღმობათასა, აწ მეცა წარმწყმედელთა გზათაგან განმარინნე და მიძლოდე მე ნავთსაყუდელად საღმრთოისა სინანულისად.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

დევნულეზაი ღმრთისმბრძოლთა მიერ ვერ დაითმინა სპირიდონმან და წარვიდა სახიდ თვისა, ხოლო შენ ვერცაღა დაუტევე რაი წმიდაი სავანეი იგი, დაგადგინეს ხელისუფალთაცა მცველად, ვითარცა ძველისა ნაშთისა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

მიხვედ რაი ბეთანიად, პოვე ღირსად სანატრელი ბერი იოანე, და სიმდაბლეი გექმნათ წინამძღვრად გზასა ჭეშმარიტსა, და საყუარელ იყვენით ყოველთაგან კეთილთა სათნოებათათვის თქუენტა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

მოსწრაფე იყო მბრძოლი იგი მოღუაწეთაი, ჰოი, ორობაო წმიდაო და რჩეულო, რაითამცა განეყვანნეთ თქუენ მონასტრით, არამედ ვერ დაარღვია ძალი ლოცვისა და მადლის ერთობისაი, და ვერცა-რაი-აკლო სიწმიდესა და ღუაწლსა თქუენსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ქალწულო, მარიამ ღმრთისმშობელო, ქურივთა და ობოლთა ხელი წყალობისაი აღუპყარ, გლახაკნი შეგვიწყალენ და ყოველნივე ერთბამად ღირს-მყვენ ზეცისა უოხჰნოსა დიდებასა.

გალობა 8, აკურთხევედითსა

ძლისპირი: ქრისტე ღმერთი, რომელი გამოუჩნდა მგალობელთა სახედ ანგელოზისა, სახუმილსა შინა ყრმანი აქებდით, მღდელნი უგალობდით, ერნი უფროსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

ვითარცა ერთი სული ორსა მას გვამსა შინა იღწვიდით და ქადაგად განჩენილთა უფლისა მიერ აღაორძინეთ რაი სარწმუნოებაი მართლმადიდებელთა და განსწავლიდით უმეცართა მეცნიერებასა ღმრთისასა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

ბაძვად თქუენდა აღძრვიდით რაი მორწმუნეთა, გულითა უმანკოი და უდრტვინველად სიმდაბლითა მორჩილი ვასილი მოიწია თქუენდა და აღკვეცეთ რაი ბერად, იყვენით მსგავს წმიდათა უხორცოთა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

ხედვიდით რაი ერსა თქუენსა ურწმუნოებასა შინა დანთქმულსა, განხურდით ქრისტეს სიყუარულითა, და მრავალთა ასწავებდით უხილავთა და ხილულთა მტერთა მიმართ ბრძოლასა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

აბრაჰამის უცხოთმოყუარებასა ჰბაძევდით, სანატრელო და უხუებითა ზრდიდით უპოვართა და ღატაკთა, ჩუენცა აღგვადგინე ბაძუად შენდა, რაითა ვეველტოდეთ ვერცხლისმოყუარებასა, ვნებასა მას ბოროტსა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

დაგემოწაფა რაი გაბრიელ ბერი, ღირსო გიორგი, განსწავლე კეთილად მსახურებითა, რომელი ჰმუენის ქრისტეანეთა მორწმუნეთა და უფროსად ბერთა,

და განძლიერდა, და ქრისტეის მიერ მიენიჭა მადლი უჩინოთა და დაფარულთა ცნობისაი.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

დასნეულდი რაი, იოანე, წელიწადსა ერთსა დაითმენდი მძაფრთა საღმობათა და გეგულებოდა რაი აღსრულებადი, ქრისტეს საიდუმლოთა ეზიარე და სიხარულით შეჰვედრე სული თვისი ღმერთსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჩუეულებისაებრ შენისა სიტკბოებისა მოწყალე-ჰყავ ჩუენ ზედა ძეი შენი, დედაო ღმრთისაო, რაითა ჩუენცა ღირს-ვიქმნეთ სუფევად ოხითა შენითა, უბიწოო.

ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.

- „უპატოსნესა“ - იგალობება.

გალობა 9, ადიდებდითსა

ძლისპირი: შობა შენი უხრწნელ არს ქალწულო, ღმერთი მუცლით შენით გამოვიდა განხორციელებული და კაცთა შორის იქცეოდა, ამისთვისცა ჩუენ შენ, ღმრთისმშობელო, სამართლად ყოველნი გადიდებთ.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

ტვირთითა სათნოებათაითა გამდიდრებული წარსდეგ რაი წინაშე ღმრთისა, ღირსად სანატრელო იოანე, დაგკრძალეს ბეთანიას, და ჩასძახებდა რაი გიორგი 'ქრისტე აღდგა!~ სამარხოსა შენსა, აღმოუტევე მკუდარმან ხმაი სიხარულისაი: 'აღდგა ჭეშმარიტად~!

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

შემდგომად იოანეს სიკუდილისა აღიკვეცე დიდსა მას სქემასა და გიწოდეს იოანე - მსგავსად სულიერისა მის ძმისა, გარნა აზნაური ეგე დიდებული უპოვარებითა სცხოვნდებოდი და იზარდებოდი ხელთა შენთა ნალუაწითა.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

მოგიხილა რაი ღმრთისმშობელმან, მოლუაწენო გიორგი, სული სიბრძნისაი და გულისხმისყოფისაი უხუად მოგმადლა, და სიმრთელეი მოგანიჭა რჩეულსა

თვისსა. იმეოხე წინაშე მისა, დანერგოს ჩუენ შორის მოძაგებაი ცოდვისაი და სიყუარული სათნოებისაი.

ღირსნი მამანო იოანე და გიორგი ბეთანიელნო, ევედრეთ...

უბიწოებითა განჰვლე საწუთროი, ვითარცა ანგელოზმან ღმრთისამან, და ანგელოზისაგან გემცნო რაი ჟამი იგი ხორცთაგან განსვლისაი, ყოველივე გულისხმა-ყო გაბრიელ ბერმან და მოიწია რაი ბეთანიას, გაზიარა ქრისტეის წმიდათა საიდუმლოთა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ცრემლეოდა რაი გაბრიელი განშორებისათვის შენისა, აკურთხე და ნუგეშინისეც მამობრივითა სიტკბოებითა, და შეჰვედრე რაი ერი შენი და მერმე სული თვისი ქრისტესა, გიორგი, აწ დიდთა მათ ღუაწლთა შენთა სიმტკიცითა შემკული ჰსუფევ წინაშე მისსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჴემმარიტად ღმრთისმშობელად აღგიარებთ, ქალწულო მარიამ, გუნდსა თანა ანგელოზთასა გადიდებთ, ბანაკსა წმიდასა ღირს-მყვენ მვედრებელნი შენნი, დედოფალო.

- **განმანათლებელი:** აჰა, წყაროი მადლისაი და ნიშთა სიმრავლისაი, დაუწყვედელი მდიდრად, სამარტვილოი ძუალთა თქუენტაი გუაჴუს მორწმუნეთა ზღუდედ სიმტკიცისად, საუნჯედ მადლისად და ეშმაკთა მოტებელად, ამისთვის იხარებენ დღეს მონაზონთა გუნდნი და განსცხრებიან მამათა დასნი დღესასწაულსა თქუენსა და ქადაგებენ კეთილთა თქუენტა მადლსა და შესწირვენ უფალსა ქებასა.

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

დღესასწაულობს აწ წმიდაი ეკლესიაი, ნეტარნო, ნაწილთა თქუენტა აღმყვანებასა და ღაღადებს თქუენდა მომართ: მოგუხედენ, ჰოი, მამანო სანატრელო, ზეცით-გარდამო და გვიხსნენით სოფლისა ღელვათაგან დაუნთქმელად.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმრთისმშობლად ჴემმარიტად აღგიარებთ შენ, დედოფალო, შენ მიერ ცხოვნებულნი, რამეთუ ღმერთი ჰშევ გამოუთქმელად დამხსნელ ჯუართა სიკუდილისა და თვისდა მიმართ მიმზიდველი ღირსთა კრებულისა, რომლისა თანა გაქებთ შენ, ქალწულო.

- აქედითა ზედა დასდებელნი

განგებუნეს რაი ბჳენი ზეცისანი, ღირსნო, შეხუედით თქუენ სიხარულსა უფლისასა, ხოლო აწ მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად, რაითა წმიდაი ეკლესიაი ჩუენი შეუძრველად დაიცვას კუეთებისაგან მტერთაისა და მძლე ჰყოს მწვალებელთა ზედა, რამეთუ მბრძოლნი იგი ჳეშმარიტებისანი ზაკულითა განზრახვითა შეთქუმულ არიან მართლმორწმუნეთა ზედა და ძალითა და ნიშნებითა სიცრუვისაითა იღუწიან, რაითა ქრისტეის მოსახელენი ერნი განხრწნეს და გამოაჩინეს ერად ბნელისა.

დაკრძალულ იყუენით რაი ბეთანიას, ანგელოზთა მსგავსი მოღუაწებაი თქუენი სიყუარულითა აღწერა მოწაფემან თქუენმან გაბრიელმან, წმიდამან და სანატრელმან, და შთამხედველ გუყვანა ელვარებასა თქუენსა, რომლისა-იგი ზიარ იყო სულითა და მობაძავი თქუენდა სათნოებითა, ამისთვისცა წმიდასა წმიდათასა სასუფეველსა წინაშე ქრისტეისა იდიდებით გვირგვინითა და ხატთა მიერ გამოწერილთა და ვედრებათა მოხსენებულნი კუალად ჰკურნებთ შევედრებულთა თქუენთა და მსწრაფლ შეეწევით ურვათა და კრულებათა შინა მყოფთა და განსაცდელთაგან იხსნით ყოველთა.

წინაისწარმეტყველებისაებრ მოწაფისა თქუენისა გაბრიელ სალოსისა უპირველეს მისსა შეგრაცხნეს თქუენ დასსა მას წმიდათასა, და ნეშტნიცა თქუენნი, აღმოიყვანნეს რაი უწინარეს წმიდისა მის ბერისა, გამოვიდოდა საფლავით თქუენით სული სულნელებისაი, მიუწდომელი, და ყოველნი აღივსნეს რაი მადლითა, უძღურნი მიიღებდეს კურნებასა.

ნათლად და გვირგვინად მადლთა მოეცნეს რაი ეკლესიასა ჩუენსა ყოვლად ქებულნი ნაწილნი თქუენნო, ღუაწლთა მიერ განბრწყინვებულნი და განსაცდელთაგან გამოხურვებულნი, ჟამსა მას აღმოყუანებისა მათისასა აოტეს რაი ეშმაკთა სიმრავლესა, საკვირველთმოქმედნო მამანო, აწ აღმოვივსებთ დაუწყვედელსა კურნებასა სულთა და ხორცთა ჩუენთასა.

მხიარულ არს ქართველთა ეკლესიაი აღმოხუემასა ნაწილთა თქუენთასა, რომელი იგი დაჰმარხნა, ღირსნო, ვითარცა თუალნი მრავალსასყიდლისანი, და დაუწყვედელად მოგუმადლებს მეოხებითა თქუენითა ლხინებასა, ხოლო მორწმუნეთა კრებული ქებით ვდღესასწაულობთ და ვმადლობთ ღმერთსა, მომცემელსა თქუენ მიერ დიდსა წყალობასა.

ყოვლად ქებულნი ნაწილნი თქუენნი, ღუაწლთა მიერ განბრწყინვებულნი და განსაცდელთაგან გამოხურვებულნი, ნათლად და გვირგვინად მადლთა მოეცნეს რაი ეკლესიასა ჩუენსა, ჟამსა მას აღმოყუანებისა მათისასა აოტეს ეშმაკთა

სიმრავლესა, და ნათლითა- სულიერითა ადავსნეს ურიცხვნი გუნდნი საეროთა და სამღვდლოთა.

აწ იშუებს და იხარებს ბეთანიაი მუნ დამკვიდრებისათვის თქუენისა, ყოვლად საკვირველნო მამანო ჩუენნო, და უფროის განსცხრების ტადარი იგი ღმრთისმშობლის შობისაი, მარადის ირწყევბოდა რაი ცრემლთა მიერ თქუენტთა, და აწ ჩუენცა მოვისწრაფით ნაწილთა თქუენტთა საყოფელსა, რაითა მრჩობლნი ეგე დღესასწაულნი ვიზეიმოთ და მივემთხვივნეთ ლუსკუმთა მათ სიწმიდისა თქუენისათა, რაითა კურნება აღმოვივსნეთ სულთა და ხორცთა ჩუენტაი.

ღირსნო მამანო ჩუენნო და მოძღუარნო ქართველთანო, იოვანე და გიორგი-იოანე აღმსარებელნო! ევედრენით თქუენ მიერ შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, რაითა წყალობითა მოხედოს დედისა თვისისა წილხდომილსა ერსა ჩუენსა, მტვირთველსა საუფლოისა ჯუარისაისა ქუეყანასა ზედა, და ყოველთაგან ერთა, ბრძოლად ჩუენდა შემოკრებულთა გვიხსნეს და დაგვიფარნეს ანტიქრისტეს ხიბლისაგან და საცთურისა.

დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დავბეროთ საყვირსა გალობათასა და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ღმრთისმშობლის შობისასა და და ამასვე დღესა ვიხსენიებთ ყოვლადქებულთა მამათა და მოძღუართა სახელოვანთა იოანესა და გიორგი ბეთანიელთა, ვითარცა სწავლისა მდინარეთა აღმომდენტთა ჩუენდა და უგალობდეთ: უძლურნი - სენტა მკურნალთა, ხოლო ჭირვეულნი - მხსნელთა, შეცოდებულნი - მხურვალეთა მეოხთა, მწუხარენი - განმაცხრობელთა და მავალნი - მოგზაურთა, მენავენი - მმართველთა და ყოველნი ყოვლით კერძო, ყოველთავე სასოთა სარწმუნოებითა ვადიდებდეთ და ვიტყოდეთ: მეოხ-გუეყვენით, ღირსნო, რაითა ლოცვათა თქუენტთა მიერითა თხოვითა შეგვჭურნეს ჩუენ უფალმან ღმერთმან ძალითა თვისითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენტთა ზედა და გუაცხოვნეს ჩუენ.

აწდა, ღმრთისმშობლისა,

- „**დიდებაი მაღალიანი**“ - იგალობება .

ტროპარი - „ ბეთანიისა მამანო საკვირველნო, ანგელოზად სახელდებულნო ყოველთა მიერ მცნობელთა თქუენტთა: იოანე, სიყრმითვე მუშაკო განშუენებად ღმრთისა სავანისა; გიორგი წინაისწარმეტყველებისა ნიჭითა აღმკულო; წყუდიადსა შინა უსჯულოებათასა გზნებულნო ლამპრად მართლმადიდებლობისა, ევედრენით ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენტათვის“. (ჳმა 6).

„დიდება“ „აწდა“ - ღვთისმშობლის აღდგომის განსატყეველი ტროპარის ხმის მიხედვით - „რომელმან კურთხეულ უწოდე დედასა შენსა, მოხვედ ნებსით გნზრახვით ძიებად ადამისა, გამობრწყინდი ჯვარსა ზედა, ეტყოდი ანგელოსთა იხარებდიტ თქვენ ჩემ - თანა, რამეთუ იპოვა წარწყმედილი დრაქმა, რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, ქრისტე ღმერთო დიდებაჲ შენდა“. (ჴმა 6).

ლიტურღია

- „გამომსახველობითი ანტიფონები“ - „ნეტარების“ გალობისას ჩაერთვის „მომიხსენენი“ - 8 მუხლად:
- ღირსი მამების III გალობიდან - 4 მუხლი (*ძლისპირით*).
- ღირსი მამების VI გალობიდან - 4 მუხლი, თავის „დიდება“ „აწ და“ - თი.

წარდგომა, (ჴმა 7) - „პატოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“.

მუხლი: - „რაი მივაგო უფალსა ყოვლისავეთვის, რომელი ესე მომაგო მე“.

სამოციქულო I კორინთელთა, თავი XII, მუხლი 7. (ძმანო, თითოეულსა ჩუენსა...) დასასრული, **მუხლი 12.** (კაცად-კაცადსა ვითარცა ჰნებავს...)

ალილუია - (ჴმა 6). „ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა“.

მუხლი - „ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი“.

სახარება მათესი, თავი XI, მუხლი 27. (ჰრქუა უფალმან თვისთა მოწაფეთა...) დასასრული, **თავი XII, მუხლი 1.** (ტვირთი ჩემი სუბუქ-არს...)

განიცადე: „სახსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი ჰამბავისაგან ბოროტისა არა ეშინოდის“.

წეს-განგება შეადგინა:

მედავითნე თინათინ მჴედლიშვილმა.